CENN ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს: „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში აჭარის რეგიონში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ახალგაზრდებთან ურთიერთობაზე. CENN-ის აჭარის რეგიონალური წარმომადგენლობის, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბორჯღალო“-სა და ასოციაცია „გენეზისი“-ს ერთობლივი ორგანიზებით, 9 თებერვლიდან – 13 თებერვლის ჩათვლით, ბათუმში „ბორჯღალო“-ს ოფისში სტუდენტებისთვის მიმდინარეობდა ტრენინგი თემაზე: „ბუნებრივი კატასტროფების პრობლემატიკა საქართველოში (პრევენციიდან – ლიკვიდაციამდე)“.

ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს გააცნეს ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფების რისკის, გამომწვევი ფაქტორებისა და იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეიძლება განხორციელდეს რისკის შემცირებისა და საფრთხეების მიმართ დაუცველობის შესამცირებლად, ასევე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბუნებრივი კატასტროფების დროს სამაშველო ღონისძიებების სპეციფიკაზე და დაზარალებულთათვის აუცილებელი პირველადი სამედიცინო დახმარების საკითხებზე.

მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში მოხალისეთა განსაკუთრებული აქტივობა ბუნებრივი კატასტროფების დროს დაზარალებული მოსახლეობის დახმარებაში გამოიხატება. აქედან გამომდინარე, ტრენინგის ფარგლებში განიხილეს ბუნებრივი კატასტროფებზე რეაგირების პროცესში ახალგაზრდა მოხალისეთა ჩართულობის საკითხები, მათ შორის რისკის ზონებში კატასტროფებზე რეაგირების ადგილობრივი მოხალისეთა ჯგუფების შექმნის ინიციატივები.

ტრენინგის თეორიული კურსის გარდა, 14 თებერვალს განხორციელდა ასევე საველე გასვლა რისკის ზონაში, კონკრეტულად კი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ორთაბათუმის თემში, რომელშიც 7 სოფელი შედის და ფაქტობრივად ყველა საფელი მეწყრული პროცესების მოქმედების აქტიურ ზონაში მდებარეობს. ორთაბათუმის თემის სოფლები, განსაკუთრებით 2008 წლის სექტემბრის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალდა, როცა ჭარბმა ატმოსფერულმა ნალექებმა გააქტიურა დროებით მდგრადი მეწყრული ფერდობები და წარმოშვა მეწყრული ჩამოქცევები ბლოკების სახით ლოკალურ უბნებში. აღნიშნულ სტიქიას სოფელ მასაურაში მსხვერპლი მოყვა, ჩავლეიშვილების ოჯახის 4 წევრი დაიღუპა. მსხვერპლი არ ყოფილა, თუმცა მნიშვნელოვნად დაზარალდა, ასევე სხვა სოფლების რამდენიმე ოჯახი, რომელთა მდგომარეობა დღემდე ძალიან რთულია. საველე გასვლის ფარგლებში, ტრენინგის მონაწილე ახალგაზრდები ორთაბათუმის თემის რწმუნებულს მერაბ ძნელაძეს შეხვდნენ, რომელმაც მათ აღნიშნულ თემში ბუნებრივი კატასტროფების კუთხით არსებული მდგომარეობა გააცნო და იმ კონკრეტულ ქმედებებზე ესაუბრა, რომელიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად გასწია. რწმუნებულთან შეხვედრის შემდეგ ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ თავად მოენახულებინათ სტიქიით დაზარალებული ოჯახები და ადგილზე გასცნობოდნენ მათ პრობლემებს.

CENN, „ბორჯღალო“ და ასოციაცია „გენეზისი“ ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმში სამომავლოდაც გააგრძელებენ მსგავსი სახის ეკო-საგანმანათლებლო აქტივობებს, რომელთა მიზანი აქტუალურ გარემოსდაცვით და სოციალურ პრობლემებზე ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის ამაღლება და ამ პრობლემების განხილვა-გადაწყვეტის პროცესში მათი ჩართულობის ზრდა იქნება.

cenn.org მწვანე გაზეთი
რასაც ზრნავთ ეკოლოგიურ მოსახლეობის მხარდასაჭერად
CENN Caucasus Environmental NGO Network

მეტი ხალხი, მეტი მანქანა, მეტი ცხელი წყალი

თეა თოფურია

ქალაქების მოსახლეობა მთელ მსოფლიოში იზრდება, იგივე პროცესი მიმდინარეობს საქართველოშიც. წლების შემდეგ თბილისი გაცილებით მეტად იქნება გადატვირთული როგორც ადამიანებით, ასევე მანქანებით. მოსახლეობის გაზრდასთან დაკავშირებით თავს იჩენს პრობლემა იმ ინფრასტრუქტურის არარსებობისა, რომელიც ამ მოსახლეობას სჭირდება. მომავალში თბილისში დასჭირდებათ უფრო მეტი ელექტროენერგია, უფრო მეტი ცხელი წყალი და ასე შემდეგ, რაც ქვეყანას ახალი გამოწვევების წინაშე დააყენებს.

არიზონას სახელმწოფო უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ მელნიკი საუბრობს იმ გამოწვევაზე, რომელიც თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებს აქვს.

ემისიების გამოყოფა და ბუნებრივი რესურსების განადგურება იწვევს კლიმატის ცვლილებას, რომლის შედეგიც მომავალში უფრო და უფრო დამანგრეველი იქნება. გარემოსადმი მიყენებული ზიანი სპობს დედამიწას არა მხოლოდ დღეს მცხოვრები ადამიანებისთვის, არამედ მომავალი თაობებისთვისაც.

„ჩინეთი, რომელიც ეკონომიკის თვალსაზრისით ძალზედ განვითარებულია, საკუთარ ქვეყანას იმდენად აბინძურებს, რომ შეიძლება განადგურდნენ კიდეც. თვეში რამდენიმე ქვანახშირის ქარხანას აშენებენ. ქვანახშირი ჩინეთში იაფია, მოსახლეობის ქალაქად მიგრაცია ელექტროენერგიის მოთხოვნაზე გაზრდას იწვევს, ამიტომ ქარხნებიც სჭირდებათ. მეორეს მხრივ, ძირი ეთხრება ბუნებრივ რესურსებს“, – ამბობს ის.

პროფესორ რობერტ მელნიკის თქმით, კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დღევანდელი მსოფლიოს წინაშე დგას, არის ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა.

„სადაც არ ვყოფილვარ ეს საკითხი ყველგან უგულვებელყოფილია, ქალაქში ფიქრობენ, რომ სოფლის პრობლემები მათ არ ეხებათ. მაგრამ სად ისვენებენ ქალაქელები? სოფლებში. საიდან მოდის წყალი? მთებიდან, და დამერწმუნეთ, საკვები თბილისში არ იზრდება“.

ქალაქის მდგრადი განვითარებისთვის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიდგომები აქვთ, მაგალითად:

სანტა მონიკა, აშშ – ამ ქალაქში გამარტივდა ეგრეთ წოდებული მწვანე სახლების (შენობები, რომლებიც გარემოსდაცვით სტანდარტებს აკმაყოფილებს) მშენებლობის პროცესი.

ჩიკაგო – გაკეთდა მწვანე სახურავები. კორპუსების ზევით აშენებენ ბაღებს, რომელიც ერთდროულად შენობასაც აგრილებს და დასასვენებელი ადგილიცაა.

ვანკუვერი, კანადა – ვანკუვერში ძალიან ცივა, ამიტომ გადაწყვიტეს უკვე გამოყენებული ცხელი წყალი კანალიზაციის მილში კი არ გაუშვან, არამედ გათბობის სისტემაში, რაც ენერგიას ზოგავს.

ფენიქსი, არიზონას შტატი, აშშ – ამ ქალაქის პრობლემა ძალიან ბევრი მანქანაა, რის შედეგადაც ქალაქში უამრავი საბურავი გროვდება. საბურავებს ანაკუწებენ და ასფალტში ურევენ, რაც გზის ხარისხსაც აუმჯობესებს და ამასთან ასეთ გზაზე მოძრაობა ნაკლებ ხმაურს იწვევს.

თანა, ინდოეთი – ქალაქში სავალდებულოა მზის ენერგიის გამოყენება.

„საქართველომ უნდა გამოიყენოს ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ურბანული გამოწვევების გადასაწყვეტად. ამ პროცესში საქართველოს უნივერსიტეტებსა და ანალიტიკურ ორგანიზაციებს აქვთ მნიშვნელოვანი ფუნქცია – დაეხმარონ გადაწყვეტილების მიმღებებს, ურბანული მდგრადობის უზრუნველყოფისთვის საჭირო პოლიტიკის შემუშავებაში“, – ამბობს რობერტ მელკინი.

სოფლის დახმარების პროგრამით ხშირად მზის ბატარეების დაყენებას ითხოვენ

თეა თოფურია

გლობალურ დათბობათან დაკავშირებით ერთი-ერთი აქტუალური საკითხია ენერგიის ეკოლოგიური წყაროების გამოყენება, მათ შორის არის მზის ენერგია. საქართველოში მზის ენერგია ძირითადად მაღალმთიან რეგიონებში გამოიყენება, სადაც დენის მიწოდების დეფიციტია.

საქართველოში მზის რადიაციის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით, წელიწადში 1 250-1 800 კვტსთ/მ² მერყეობს. ზოგადად მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი ოდენობით მზის რადიაცია ეკვატორზე ფიქსირდება, წელიწადში 2500 კვტსთ/მ². დღემდე საქართველოში არსებობს სოფლები, რომელთაც ელექტროენერგია არ მიეწოდებათ. მაგალითისთვის დუშეთის რაიონ, სოფელ კაწალხევში დენი საბჭოთა კავშირის შემდეგ არ ჰქონიათ. ამჟამად ამ სოფელში რამდენიმე კომლი ცხოვრობს, მათ შორის მრავალშვილიანი ოჯახი. საჭმელს შეშის ღუმელზე ამზადებენ, გასანათებლად კი ნავთის ლამპას ხმარობენ. იგივე პრობლემა აქვს კიდევ რამდენიმე სოფელსაც. აღსანიშნავია, რომ ამ სოფლების დენით მომარაგება საკმაოდ ძვირადღირებული ღონისძიებაა და შესაბამისად მთავრობის პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით, სოფლის დახმარების პროგრამით გამოყოფილი ფულით მოსახლეობა ხშირად სწორედ მზის ბატარეების დამონტაჟებას ითხოვს. მაგალითისთვის, დუშეთის რეგიონში 2011 წლის სოფლის პროგრამის პრიორიტეტების მიხედვით, მზის ბატარეის შეძენა აირჩია შემდეგი სოფლების მოსახლეობამ: მჭედლიაანთკარი, მილიწყარო, ფუძნარი, აფშო, ახადო, ღული, ჭიმღა, ანდაქი, არჭილო, გიორგიწმინდა, ხახაბო, ხონიჭალა.

ცარო საძაგლიშვილი, დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარე: „მზის ბატარეებს ძირითადად მაღალმთაინ სოფლებში ითხოვენ, სადაც რამდენიმე კომლი ცხოვრობს. ისეთი სოფლები, რომელთაც დენი უკვე წლებია არ მიეწოდება, ბევრი არა, მაგრამ რამდენიმე მაინც არის“.

მზის ელექროსადგური (მზის ფოტოელექრო სისტემა V) გაშვების შემდეგ ავტონომიურ რეჟიმში ფუნქციონირებს. იგი ღრუბლიანი ამინდის დროსაც გამოიმუშავებს თავისი სიმძლავრის 30 პროცენტს. მზის ელექტროსადგურის გამოყენება გამართლებულია ისეთ ადგილებში, სადაც დენის მიწოდების პრობლემაა: მაღალმთიანი სოფლები მცირე მოსახლეობით, მწყემსების დროებითი სადგომები, სამხედრო სასაზღვრო ნაწილები, კავშირგაბმულობის სადგურები და ა.შ.

მზის ელექტროსადგული – მოდული ფართობით 10 სმ/10 სმ საათის განმავლობაში გამოიმუშავებს 1 ვტ/სთ-ს ელექტროენერგიას. 1 ვტ/სთ-ს ელექტროენერგიის ღირებულება 7-8 დოლარია. მზის მოდულის მუშაობის ხანგძლივობა არის 20 წელი. 50 ვტ მზის ელექტროსადგურის ღირებულება არის 750 დოლარი.

გარდა ამისა, არსებობს მზის წყალგამაცხელებელი (მზის კოლექტორი). ეს არის ქვემოდან კარგად იზოლირებული, მინით დაფარული შავი ფილა, რომელშიც განთავსებულია წყლის მილები. კოლექტორი შთანთქავს მზის რადიაციას და ათბობს წყალს, რომელიც თბოიზოლირებულ ავზში გროვდება. კოლექტორში წყლის ტემპერატურა ზაფხულში 45-65 გრადუს ცელსიუსამდე აღწევს, ზამთარში კი 20-25 გრადუს ცელსიუსამდე.

საშუალოდ ცხელი წყლის მოხმარების დღიური ნორმა 50 ლიტრია; დღიურად 50 ლიტრი ცხელი წყლის მიღებას 1-1.5 კვ.მ ფართობის მზის კოლექტორი უზრუნველყოფს. წყლის ავზის მოცულობა დამოკიდებულია მზის კოლექტორის ფართობზე – 1 კვ.მ კოლექტორის ფართობზე 40-70 ლიტრიანი ავზია საჭირო. 2 კვ.მ ფართობის მზის კოლექტორი ყოველწლიურად 400 ლარს დაზოგავს. ასეთი კოლექტორის ღირებულებაა 400-1000 დოლარია.

ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზონებში სადაზღვევო პროგრამების ამოქმედების პერსპექტივები

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანოზაციების ქსელისა (CENN) და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კავშირ „ბორჯღალო“-ს ერთობლივი ორგანიზებით, ბათუმში, „ბორჯღალო“-ს ოფისში მოეწყო მრგვალი მაგიდა თემაზე: „ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზონებში სადაზღვევო პროგრამების ამოქმედების პერსპექტივები“. შეხვედრას აჭარის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიების, აჭარის გეოლოგიის სამსახურისა და განსახლების დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე შედგა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანოზაციების ქსელის (CENN) პროექტის: „კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება“-ს პრეზენტაცია.

შეხვედრაზე განიხილეს მაღალმთიან აჭარაში ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზონებში არსებული მდგომარეობა და სტიქიით დაზარალებულ ოჯახებისთვის ფინანსური კონპენსაციების გაცემის სისტემა და კრიტერიუმები. „ბორჯღალო“-მ წარმოადგინა ინიციატივა რისკის ზონებში სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის ამოქმედების შესახებ, რომლის მიხედვით აჭარის მუნიციპალიტეტებში მაღალი რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების დაზღვევის სისტემა ამოქმედდება, სახელმწიფო უზრუნველყოფს ოჯახების დაზღვევას, ხოლო სტიქიური მოვლენის შედეგად საცხოვრებელი სახლების დაზიანების შემთხვევაში დაზარალებულთათვის ზარალის ანაზღაურება უკვე სადაზღვევო კომპანიების პასუხისმგებლობის ქვეშ გადავა. სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ უფრო აქტიურად განიხილონ აღნიშნული ინიციატივა და მოხდეს ყველა ძირითადი კომპონენტის დეტალური ანალიზი. გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველი იქნება რომელიმე კონკრეტული თემისა და სოფლის მაგალითზე საპილოტე პროექტის გაკეთება, რომელიც შესაძლებლობას შექმნის აღნიშნული ინიციატივის როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები ფართოდ წარმოჩინდეს. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ სამთავრობო სტრუქტურების, არასამთავრობო ორაგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებისაგან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზონებში სახელმწიფო დაზვევის პროგრამის კონცეფციას შეიმუშავებს.

როგორ გავათბოთ სახლი

თეა თოფურია

სახლები, რომელშიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს თბოეფექტურობის თვალსაზრისით გამოუსადეგარი და ცივია. თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელია შენობები გაცილებით უფრო თბილი გახდეს.

იმ სახლების უმეტესობა, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, საბჭოთა კავშირის პერიოდში აიგო, როცა ელექტროენერგია და გაზი უფასო იყო. მოსახლეობა აშენებდა ორსართულიან, უზარმაზარ სახლებს, დიდი ოთახებით. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ამ შენობების გამო ხალხი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. სახლის სრულფასოვნად გათბობას უკვე ვეღარავინ ახერხებს, განსაკუთრებით რეგიონებში.

მარიამ თავბერიძე, თერჯოლის მცხოვრები: „ორსართულიანი სახლი მაქვს, უზარმაზარი, 11 ოთახი მარტო ქვევით არის. ზამთარში ერთ ოთახს თუ ვათბობთ შეშის ღუმელით. ბუხარიც გვაქვს, მაგრამ მაგის რომანტიკისთვის ნერვები არავის ჰყოფნის. ყველა ამ ერთ ოთახში ვიყრით თავს. ყოველ გაზაფხულზე რემონტი თავიდანაა გასაკეთებელი.“

გიორგი აბულაშვილი, „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“: „საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების

60 პროცენტი შენობებზე მოდის. ამასთან ამ სახლების ექსპლოატაციის ვადა არის დიდხნიანი, განსხვავებით ამერიკისგან, სადაც ოჯახი დაახლოებით შვიდ წელიწადში ერთხელ ბინას იცვლის. შესაბამისად, რაც უფრო დაბალხარისხიანი იქნება ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით ეს შენობები, მით უფრო უარესი ქვეყნისთვის.

ჩვენმა ხელისუფლებამ ლიბერტალიანური მიმართულება აიღო და ამბობდა, რომ ამ საკითხს ბაზარი დაარეგულირებს. თავდაპირველად იგივე მიდგომა იყო სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებითაც, მაგრამ საბოლოოდ მაინც გადაწყდა, რომ ეს სფერო უნდა დარეგულირდეს. ნებისმიერი ბიზნესის მიზანია, ინვესტიცია ნაკლები თანხით განახორციელოს, თუ მათ სტანდარტების დაცვას არ მოსთხოვენ, ის აბსოლიტურად თავისუფალია მშენებლობის პროცესში, ანუ შეუძლია კედელი თხელი გააკეთოს და ასე შემდეგ“.

გიორგი აბულაშვილი ამბობს, რომ შენობის თბოტექნიკური მახასიათებლებით აგება სამშენებლო ნორმების აუცილებელი ნაწილი უნდა იყოს. ეს შენობის ღირებულებას 5-10 პროცენტით გააძვირებს, თუმცა კლიენტი გაცილებით თბილ და ხარისხიან ბინას მიიღებს.

რაც შეეხება უკვე აშენებულ სახლებს, თბოეფექტურობის მისაღწევად სხვადასხვა საშუალება არსებობს, სქელი კედლები, თბოიზოლაცია შენობის შიგნით ან გარეთ.

საქართველოში თბოიზოლაციისთვის ყველაზე გავრცელებული მასალა არის მინის ბამბა, მინერალური ბამბა, ასევე მოსაპირკეთებელი მასალა... ზოგადად გარედან იზოლაცია გაცილებით უფრო შედეგიანია.

გიორგი აბულაშვილი, „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“: „მაგალითად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ტრადიციულად მიწაყრილ სახლებს აკეთებდნენ. მიწის ფენა სითბოს ინარჩუნებს. ხევსურეთში და ზოგადად მთაში გამოცდილებამ სახლის ის ტიპი დაამკვიდრა, რომელიც სიცივეს უძლებს.

დღევანდელ რეალობაში მოსახლემ უნდა სცადოს 2-3 ოთახის თბოიზოლაცია მოახდინოს. ეს არის დაუგეგმავი და ერთმანეთის ჯიბრზე აშენებული სახლები, ამასთან გაუგებარი არქიტექტურით. თბოიზოლაციის გაკეთება აქ ჩამოთვლილი მასალებითა და გაჯის სქელი ფენითაც შეიძლება, თუმცა არა დასავლეთში. იქ სინესტის გამო გაჯი ვერ ძლებს.

სანაცვლოდ დასავლეთ საქართველოში შესაძლოა გაკეთდეს ე.წ. ეკრანიზებული სახლები. ანუ სახლს უკეთდება ორი კედელი, ერთი, რომელიც მხოლოდ წვიმის ასარიდებლად იქნება და მეორე შიგნით, ხის. ამ ორ კედელს შორის მანძილი უნდა დარჩეს“.

გიორგი აბულაშვილის თქმით, შენობის დასათბუნებლად აუცილებელია მეტალოპლასმასის ფანჯრები. თუ ფანჯარას ნახევარსანტიმენტრიანი ღრიჭო აქვს, სითბოს 20 პროცენტი გარეთ გავა. ღრიჭოების ამოსაქოლად სილიკონის მილაკები გამოიყენება. ის მეტრი 50 თეთრი ღირს და ადვილად მოიხმარება. ასევე კარგ ეფექტს იძლევა სიმულირებული შუშა, ანუ მინაზე სკოჩით გადაკრული ცელოფანი.

ჟუჟუნა ძიძიშვილი, დუშეთში მცხოვრები: „ხან გვაქვს სითბო, ხან არა, საშუალება არ გვაქვს, რომ შეშა ვიყიდოთ. ყველაფერი ერთ ოთახშია თავმოყრილი, ესეც ისე რა თბება. აქ ვრეცხავ, სადილსაც აქ ვაკეთებთ, საძინებელიც აქ არის. აბაზანაში ცივა, კი არ ვბანაობთ, ვწუწაობთ“.

გარდა სახლის აგებულებისა, ასევე ნიშანდობლივია თუ რითი თბებიან ოჯახის წევრები. შეშის ღუმელების უმეტესობა არაეფექტურია. კარგ ღუმელს კედლები მინიმუმ 2 მმ, ზედაპირი კი 4 მმ უნდა ჰქონდეს.

თბოეფექტურობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია სხვენი. სითბო მიდის ზევით, თუ სახურავზე მხოლოდ ჭერი დახვდა ის ადვილად გააღწევს გარეთ. ამიტომ საჭიროა სახურავის თბოიზოლაცია. თბოიზოლაციისთვის მიწის ფენასაც ხმარობდნენ, ამასთან მიწა ძალიან დატკეპნილი არ უნდა იყოს. ასევე ხმარობენ მინის ბამბასაც. თუმცა, ეს ვერ მოხერხდება იქ, სადაც ბრტყელი გადახურვაა. თბოიზოლაცია უნდა გაკეთდეს უშუალოდ სხვენში, ჭერიდან სახურავამდე არსებულ ფართში.

ჭერიდან სითბოს ნაკადის გადინების თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია:

სხვენში დააგოთ მინერალური ან მინის ბამბა, დაყაროთ ფხვიერი მასალები – პემზა, ნახერხი, ნაფოტი, მიწა, კერამზიტური ხრეში.

შესაძლებელია უფრო იაფი მასალის გამოყენებაც: ძველი შალის გადასაფარებლები, მატყლის საბნები და ლეიბები, კვერცხის ჩასადები კონტეინერები, პლასტმასის ცარიელი და თავდახურული ბოთლები, პენოპლასტის ნაფხვენებით სავსე ფქვილის ან შაქრის ძველი ტომრები.

შენობის გარე კედლების დათბუნება შესაძლებელია, როგორც გარე, ისე შიდა მხრიდან:

გარედან დასათბუნებლად საჭიროა კედლის წყალგამძლე თბოსაიზოლაციო მასალით მოპირკეთება და მერე შელესვა.

შიდა მხრიდან დასათბუნებლად გამოიყენება მინერალური და მინის ბამბა, პენოპლასტი და ა.შ. რომელიც მოპირკეთდება დაპრესილი ნახერხის ან თაბაშირ-მუყაოს ფილებით.

რადგან კედლების თბოიზოლაცია ძვირადღირებული ღონისძიებაა, სასურველია მისი გათვალისწინება შენობის კაპიტალური შეკეთების დროს.

არსებობს უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი მეთოდები, მაგალითად გარე კედლებზე ფარდაგების ჩამოკიდება, „კედელის ტიპის“ ან ჩაშენებული ავეჯის განთავსება.

სარდაფიდან ამომავალი ცივი ჰაერი ასევე მოქმედებს ოთახის ტემპერატურაზე, ამიტომ საჭიროა სარდაფის ჭერის დათბუნებაც.

cenn.org მწვანე გაზეთი
კლიმატის ცვლილება საქართველოში
CENN Caucasus Environmental NGO Network

2020 წლამდე კლიმატის ცვლილებას ვერაფერი შეაჩერებს



დურბანში, სამხრეთ აფრიკის ამ ლამაზი ისტორიის მქონე ქალაქში, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მებრძოლებმა ამჯერადაც ვერ მოახერხეს დაედოთ საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც შეცვლიდა, განავითარებდა ამ სფეროში სახელგანთქმულ კიოტოს ოქმს, გაისად რომ გასდის ვადა.

კიოტოს შემდეგ გამართულ შეხვედრებზე იყო იმედები, იყო ჩავარდნა (კოპენჰაგენის შეხვედრას, როგორც იმედის მომცემს, თავიდან „ჰოპენჰაგენიც“ კი უწოდეს, მაგრამ იმავე ხანებში თავი იჩინა სკანდალმა, რაც „კლიმაგეიტის“ სახელწოდებით მოინათლა, ვითომ ჰავის ცვლილებების მონაცემთა ფალსიფიცირების გამო), მაგრამ ეს იყო წარსულში – მაშინ, როცა მეცნიერთა შორის არაერთი ამბობდა, სათბურის გაზები, მათი ემისია არაფერ შუაშია, კლიმატის ცვლილება ბუნებრივი პროცესიაო.

ახლა დურბანში გაეროს კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ 2015 წლამდე შეიმუშაონ ახალი დოკუმენტი, რომელიც 2020 წლისთვის შევა ძალაში. ანუ ერთსულოვნებისგან ისინი კვლავ შორს არიან. არადა, სანამ დურბანი დაიწყებოდა, ექსპერტები აცხადებდნენ, ამ საკითხის გადადება აღარ შეიძლება, ვითარება მძიმეაო.

გაგახსენებთ მოკლედ: ფაბრიკების თუ ქარხნების, ასევე ავტომანქანების და სხვა ძრავების მუშაობის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგის დონე გარემოში იმდენად იწევს, რომ ეგრეთ წოდებული სათბურის ეფექტი წარმოიქმნება, ხდება დათბობა, იცვლება კლიმატი. ამ თეორიის თანახმად, კლიმატის ცვლილებას მოსდევს ბუნებრივი გარემოს გადასხვაფერება.

სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მოადგილის, როხას ბრიალესის თანახმად, ყველა სახეობას, რომლებიც მთებში ბინადრობენ, ევროპაში, აზიასა თუ აფრიკაში, დიდი საფრთხე ემუქრება კლიმატის ცვლილების გამო, რადგან მათ მიგრაციის საშუალება არა აქვთ. ბრიალესის მონაცემებით, ცხოველთა და მცენარეთა ყველა სახეობის 20-30 პროცენტს კლიმატის ცვლილებები საფრთხეს უქმნის.

მეცნიერთა ეს ნაწილი, ვინც აღიარებს, რომ კლიმატის ცვლილებებს ჭარბი სათბური გაზები იწვევს, განგაშს ტეხს, საჭიროა ამ გაზების გამობოლქვის შემცირებაო. შემცირებას კი ეგრეთ წოდებული „მწვანე ტექნოლოგიის“ გამოყენება სჭირდება, რასაც ფული უნდა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სათბურის გაზებს აწარმოებს, პირველ რიგში, აშშ, ასევე ინდოეთი, ჩინეთი. დღემდე შეთანხმება ვერ ხერხდება, რადგან ეს ქვეყნები უარს ამბობენ გადამჭრელ ზომებს მიმართონ - ისინი კიოტოს ოქმის ხელმომწერთა შორის არ არიან. დურბანის შეხვედრის შემდეგ მათ რიგებში ჩადგა კანადაც, რომელმაც გამოაცხადა, რომ გადის კიოტოს ხელშეკრულებიდან. ჩინეთმა, რომელიც უდიდეს მწარმოებლებს შორისაა, სინანული გამოხატა კანადის ნაბიჯის გამო.

პეკინში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლიუ ვეიმინმა ასე ჩამოაყალიბა თავისი ქვეყნის პოზიცია:

„კანადის გადაწყვეტილება გამოვიდეს კიოტოს ხელშეკრულებიდან ამ ეტაპზე, ეწინააღმდეგება საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას და დასანანია. იმედი გვაქვს, რომ კანადა მზად იქნება ნაკისრი პასუხისმგებლობა და მოვალეობები შეასრულოს, რომ ის ერთგული დარჩება ემისიის შემცირების თაობაზე დაპირებებისა და პოზიტიურად და კონსტრუქციულად ითანამშრომლებს კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან საერთაშორისო ბრძოლაში“.

კანადის არგუმენტი გავიდეს კიოტოს ხელშეკრულებიდან ის იყო, რომ აშშ და ჩინეთი, უდიდესი მწარმოებლები სასათბურე გაზებისა, მაინც არ არიან ჩართული პროცესში და აზრი არა აქვს ჩვენს მონაწილეობასაცო. მაგრამ საქმე ისაა, რომ აშშ ცდილობს ჩაერთოს პროცესში იმ პირობით, რომ 3 პროცენტით შეამცირებს სასათბურე გაზების გამოყოფას, რაც მცირედაა შეფასებული. ჩინეთს არ სურს მისი მრეწველობა კონტროლდებოდეს და აცხადებს, საკმარისს ვაკეთებთ სასათბურე გაზების გამოყოფის შესამცირებლად, ოღონდ ვერავის მივცემთ უფლებას მეთვალყურეობა გაუწიოს ჩვენს ქარხნებსო.

თითქმის 20 წელიწადია არსებობს კიოტოს შეთანხმება და მას მერე ლაპარაკია იმაზე, რომ კლიმატის სტაბილიზების მისაღწევად თანხმობაა საჭირო და მას სხვებიც უნდა შეუერთდნენ, ხოლო, რაც მთავარია, დოკუმენტმა მტკიცე იურიდიული ძალა უნდა მიიღოს. არათუ სტაბილიზება, მსოფლიოში სასათბურე გაზების გამოყოფამ 1990 წლის შემდეგ, როცა ბრძოლა დაიწყო, 40 პროცენტით მოიმატა, ამბობს კლიმატის კვლევის პოტსდამის ინსტიტუტის პროფესორი შტეფან რამსდორფი. ის ლაპარაკობს სახელმწიფოთა ალიანსებზე, რომელთა შექმნა, მისი აზრით, ერთადერთი იმედის მომცემი ფაქტორია:

„რადგან სრულიად გლობალური, დიდი შეთანხმების მიღწევა ყოვნდება, უნდა შეიქმნას ალიანსები, მაგალითად, ევროკავშირისა და აფრიკის, კოალიცია კლიმატის დაცვის პიონერებისა, რათა 2020 წლისთვის რამე კონკრეტულ შედეგს მივაღწიოთ, მაგალითად, განახლებადი ენერგიები განვითარდეს.“

რამსდორფი შემთხვევით არ ახსენებს ეკროკავშირს და აფრიკას. კიოტოს ამჟამად მოქმედ ოქმში გაერთიანებულ ქვეყნებზე სასათბურე გაზების გამოყოფის მხოლოდ 15 პროცენტი მოდის. აფრიკა დაინტერესებულია განახლებადი ენერგიებით. მისი მრეწველობა ახლაც არ არის ყველაზე განვითარებული და თუ ამ მიმართულებით წავა, ზარალს ნადვილად არ ნახავს. ასე რომ, ამ ქვეყნებს ხელს აძლევთ, თუკი მათ წაახალისებენ და თანხებს გამოუყოფენ, იზრუნონ მზის, ქარის, თერმული თუ სხვა ენერგიების ათვისებაზე. ევროკავშირი - პირველ რიგში, გერმანია, რომელიც, ამ მხრივ, მთელი მსოფლიოს ავანგარდშია - მზად არის სვლა კლიმატის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი ჩვეული სიჩქარით გააგრძელოს, სხვასთან ერთად. ადრევე დასახული მიზანია დედამიწის გათბობა ორ პროცენზე შეაჩერონ. რამსდორფს სჯერა, რომ ეს შესაძლებელია. მისივე თქმით, ბევრი ქვეყანა ერთ-ნახევარ გრადუსზეც კი აპირებს იმუშაოს, რაც იოლი არაა.

ძალიან, ძალიან შორეულ მომავალში, ამბობს კლიმატის მკვლევარი, მსოფლიოში ზღვის დონე რამდენიმე მეტრით აიწევს, ეს კი ყველა კუნძულოვანი სახელმწიფოს წყლით დაფარვას ნიშნავს. გერმანიის პოლიტიკოსებმა განსხვავებული შეფასებები მისცეს დურბანის კონფერენციას. პრეზიდენტი კრისტიან ვოლფი თავშეკავებული იყო. მან განაცხადა, ამ შეხვედრამ დაგვანახვა, რამდენად გრძელია კიოტოს შემდგომ ოქმამდე გზაო.

გერმანიის გარემოს დაცვის მინისტრი, ნორბერტ რიოტგენი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, ფიქრობს, რომ დურბანის შეთანხმება დიდი, გზის მაჩვენებელი წარმატებაა კლიმატის დაცვის საქმეში. გერმანიის პარლამენტში, ბუნდესტაგში, ოპოზიციამ და ამ ქვეყნის გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა დურბანში მიღწეული შედეგი აშკარად გააკრიტიკეს. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ მოქმედება ახლავეა საჭიროა, თორემ გვიან იქნება, რადგან, როგორც გარემოს ეკონომისტი ნიკო პეხი ამბობს, კლიმატის დაცვისას პრობლემაა ცხოვრების დასავლური სტილი, რომელსაც არა მხოლოდ დრო მიაქვს, არამედ ბუნებასაც უქმნის საფრთხეს. მისი აზრით, პლანეტა ეკოლოგიური კატასტროფისკენ მიექანება. თუკი გვსურს ამის შეჩერება, რამე უნდა ვიღონოთ, უკეთ რომ ვთქვათ, ნაკლები უნდა ვაკეთოთ. დღევანდლამდელი კეთილდღეობის დასავლური მოდელი, პეხის აზრით, ადრე თუ გვიან თვითონვე დაგვემშვიდობება.

რადიო „თავისუფლება“

კვლევების თანახმად, დედამიწაზე დათბობის ორი მნიშვნელოვანი პერიოდი იყო

ევროპის, იაპონიის და აშშ-ს რამდენიმე უნივერსიტეტის მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა დაასრულა გრენლანდიის მყინვარების მონაცემთა შეგროვება და ანალიზი.

კვლევების შედეგების მიხედვით, სპეციალისტები ორი ძალზედ მნიშვნელოვანი ტემპერატურული რყევის შესახებ აცხადებენ, რომელიც უკანასკნელი გამყინვარების დროს მოხდა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მსგავსმა რყევებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჩვენი პლანეტის ატმოსფერული ნაკადის ცირკულაციაზე.

ყინულის ნიმუშებმა აჩვენა, რომ დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში დათბობის ორი მნიშვნელოვანი პერიოდი იყო – პირველი 14 700 წლის წინ, როცა 50 წლის განმავლობაში ტემპერატურამ ერთბაშად 6 გრადუსით მოიმატა, ხოლო შემდეგ რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში კვლავ ეცემოდა.

დათბობის მეორე პერიოდი ყინულის კვლევების შედეგად დაფიქსირდა, რომლის ასაკი 11 700 წელს შეადგენს.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ახალი სამეცნიერო კვლევები დაეხმარებათ, უკეთ გაერკვნენ პლანეტის კლიმატურ თავისებურებებში და შექმნან გლობალური ტემპერატურის მატების ამსახველი კლიმატის შედარებით ზუსტი მოდელი.

მყინვარების შესწავლისას მკვლევარები ზომავდნენ ყინულში შემონახული მტვრის ნაწილაკების დონეს, ასევე ყინულის სხვადასხვა შრეებში წყლის სტაბილურ იზოტოპებს.

კვლევების ავტორების აზრით, პირველი მკვეთრი დათბობა 14 700 წლის წინ დაიწყო. 12 900 წლის წინ დაიწყო გამყინვარება და 1 200 წლის შემდეგ ყველაფერი ძველ ნიშნულს დაუბრუნდა.

კოლორადოს უნივერსიტეტთან არსებული არქტიკული კვლევების ინსტიტუტის დირექტორის ჯიმ უაიტის სიტყვებით აშკარაა, რომ 10-15 წლის წინ მომხდარი გლობალური დათბობის მიზეზი ბუნებრივ ფაქტორებს ეფუძვნებოდა, თუმცა თავად იმ ფაქტმა,რომ დედამიწაზე ბუნებრივ პირობებს შეუძლია ასე სწრაფად შეცვალოს კლიმატი, ბევრი მეცნიერი უნდა დააფიქროს მიმდინარე გლობალური დათბობის ბუნებაზე.

რა საფრთხეს შეიცავს თბილისის ბაღებისა და პარკების გაჩეხა?

ეკა ქევანიშვილი,
რადიო „თავისუფლება“

ბოლო ერთი თვის განმავლობაში თბილისში, პოლიციის შენობის აგების მიზნით, ორ გამწვანებულ ადგილას – კიკვიძის პარკსა და მოსკოვის გამზირზე მდებარე სკვერში – ათობით ხე მოიჭრა. მწვანე ზოლის დაზიანებას ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები და ის ადამიანები აპროტესტებენ, ვისაც დედაქალაქის მწვანე საფარზე გული შესტკივა. რატომ შეარჩია ქალაქის მთავრობამ ადმინისტრაციული შენობების ჩასადგმელად კანონით დაცული ზონები და როგორ იმოქმედებს ქალაქზე ბაღებისა და პარკების გაჩეხა?

კიკვიძის პარკი – ახლა მას ვეტერანთა დასვენების პარკი ჰქვია. შუადღის პირველი საათია. ხალხი კანტიკუნტად დადის - ძირითადად, ახლოს მცხოვრები მოსახლეობა. ზოგი ძაღლს ასეირნებს, ზოგი საბავშვო ეტლს მოაგორებს. ბავშვების თამაშის ხმას თუ არ ჩათვლით, პარკში სიმშვიდეა.

პარკის განაპირა ნაწილი შემოღობილია, მიწა – ამოთხრილი, ტერიტორია – მოსუფთავებული. შიგნით რამდენიმე სატვირთო მანქანასა და ორიოდე მუშას ვხედავთ. ამ ადგილას პოლიცია უნდა აშენდეს. ორ კვირაზე მეტია ხეების მოჭრას და პარკის ტერიტორიაზე პოლიციის მშენებლობას გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებს, მშენებლობა კი გრძელდება. ბატონი ავთო თეთრ ლაბრადორს ასეირნებს. ის პარკიდან ას მეტრში ცხოვრობს. პოლიციის მშენებლობით უკმაყოფილოა:

„ჯობდა სხვაგან აეშენებინათ – აქვე ახლოს იმდენი ბარაკი დგას, აეღოთ ისინი, მოელამაზებინათ ადგილი და იქ აეშენებინათ. ეტყობა, აქ მუქთად აქვთ მიწა, იქ კი, ბარაკების ადგილას, ხალხი რომ აყარონ, სამაგიერო უნდა მისცენ. ასე უფრო ადვილია“.

პარკში, გრძელ სკამზე ჩამომჯდარი ქალბატონი ნანა კი გვეუბნება, რომ შესაძლოა, უსაფრთხოების თვალსაზრისით, პოლიციის შენობის პარკში განთავსება უკეთესიც იყოს:

„ძალიან მენანებოდა ნაძვები, მაგრამ დავაკვირდი და ნაძვები არ არის მოჭრილი, უფრო ბუჩქებია, მე მგონი, გაჩეხილი. უარესს ველოდი...“

„გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფის“ წევრი, ეკოლოგი ლაშა ჩხარტიშვილი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ყოფილი კიკვიძის, იმავე ვეტერანთა დასვენების პარკის გადარჩენის კამპანიაში, შენიშნავს, რომ თბილისი ჯერ კიდევ საბჭოთა დროს განიცდიდა გამწვანებული ტერიტორიების სიმცირეს, მაგრამ შეტევა დედაქალაქის მწვანე საფარზე რამდენიმე წლის წინ დაიწყო და არა მხოლოდ პირდაპირი გაჩეხის გზით, არამედ საკანონმდებლო ცვლილებებით. მიუხედავად ამისა, მისი თქმით, დღესაც არსებობს საკრებულოს მიერ გამოცემული შესაბამისი აქტი, რომელსაც საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი აწერს ხელს და რომლის თანახმად, ბაღებში, პარკებსა და სკვერებში ხეების გაჩეხა, მშენებლობა და ტერიტორიის პრივატიზაცია აკრძალულია. თუმცა კანონი გამუდმებით ირღვევა. ბოლო დროს ასეთ ტერიტორიებს ადმინისტრაციული შენობების, გამგეობებისა და პოლიციის შენობებისთვის ადგილის გამოსათავისუფლებლად ჩეხენ:

„ეს, ერთი მხრივ, ძალის დემონსტრირებაა და, მეორე მხრივ, ერთგვარი პიარი, რომ ყველაზე გამოსაჩენ ადგილას იდგეს გამგეობები და პოლიციის შენობები. რომ აღარაფერი ვთქვათ ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე, რადგან, როგორც ცნობილია, ხეებს აქვთ ჟანგბადის გამოყოფის ფუნქცია, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თბილისისთვის, რომელიც ქვაბულში მდებარეობს და მისი განიავება მუდამ სერიოზული პრობლემა იყო. მწვანე ნარგავების მეორე ფუნქცია კი ჰაერის ფილტრაციაა, მავნე ნივთიერებების შებოჭვა, რომელიც მრავლადაა ჰაერში, თან თუ გავითვალისწინებთ საწვავის დაბალ ხარისხს, რომელიც საქართველოში შემოდის. ფაქტობრივად, მე არ მახსენდება თბილისის არც ერთი ბაღი, პარკი თუ სკვერი, რომელიც სხვადასხვა მასშტაბით არ გაეჩეხათ. ფიზიკის ინსტიტუტის უნიკალურ ბაღში ააშენეს ვაკე-საბურთალოს გამგეობა, სკვერში ააშენეს გლდანი-ნაძალადევის გამგეობა, წერეთლის მეტროსთან მდებარე სკვერში ააშენეს პოლიცია, „მზიურში“ აშენდა პოლიცია და ა.შ.“ - ამბობს ლაშა ჩხარტიშვილი.

ვეტერანთა დასვენების პარკამდე რამდენიმე ათეული ფიჭვი მოიჭრა მოსკოვის გამზირზე მდებარე სკვერში. იქაც, წინასწარი ინფორმაციით, პოლიცია შენდება. არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად, პროცესი არც იქ შეფერხებულა. არასამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცის“ თავმჯდომარე ანა გაბრიაძე იხსენებს, რომ პირველი, რაც პარკებში ხეების გაჩეხის შემდეგ გააკეთეს, მერიის ოფიციალურ საიტზე ამ ტერიტორიების სტატუსი გადაამოწმეს. არც მოსკოვის გამზირზე მდებარე სკვერს და არც კიკვიძის ბაღს, ანა გაბრიაძის თქმით, სტატუსი რეკრეაციული ზონისა, სადაც მშენებლობის წამოწყება და ხეების გაჩეხა აკრძალულია, მოხსნილი არ ჰქონია:

„ჩვენ მშენებლობის ნებართვას ვითხოვდით. წესით, მერიის საიტზეც უნდა იდოს პროექტიც და ნებართვაც. საიტზე, რა თქმა უნდა, არაფერი იდო. არც სტატუსი ჰქონდა ამ პარკებს შეცვლილი და არც ნებართვები მოუწოდებიათ. მოსკოვის გამზირზე მდებარე სკვერს რაც შეეხება, იქ ბანერიც კი არ იყო გამოკრული, თუ რა შენდება. ამიტომ ზედამხედველობას დავურეკეთ. მათ ჩვენი იურისტი ესაუბრა და ტელეფონში სიტყვიერად დაუდასტურეს, რომ იმ ადგილას პოლიცია აშენდება. საქმე ისაა, რომ 2009 წელს მიღებული ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა გამწვანებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის გარანტი უნდა ყოფილიყო. ეს არის ქალაქის მთავარი კანონი, რომელიც ძალიან გამომწვევად არის დარღვეული“.

არსებობს შსს-ს თბილისის მთავარი სამართველოს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილის სახელზე მერიის არქიტექტურის სამსახურის პასუხი, რომელშიც წერია, რომ „არქიტექტურის სამსახური წინააღმდეგი არ არის ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიებზე განხორციელდეს მიწის ნაკვეთების შემოღობვა, დროებითი ნაგებობების ჩადგმა და მიწის სამუშაოების განხორციელება“. - აქედან ჩანს, რომ მერია ბაღებში ხეების მოჭრის იდეას ეთანხმება.

პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესიით ბოტანიკოსი ზაზა გამცემლიძე რადიო თავისუფლებასთან საუბარში განმარტავს, რომ პოლიციის შენობისათვის პარკის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყო და ამაში „კატასტროფული არაფერია“. მისი თქმით, იქ არ გაჩეხილა იშვიათი სახეობის, ბიოლოგიურად ფასეული ხეები:

„იქ არ მოჭრილა იშვიათი, ბუნებრივ ეკოსისტემაში გაზრდილი, ძეგლის სტატუსს რომ მივანიჭებდით, ისეთი ხეები. პარკის ის ნაწილი, სადაც პოლიციის აშენებას აპირებენ, ისეთ საფრთხეს არ უქმნის კიკვიძის პარკს, რომ ასეთი პოლიტიკური აჟიოტაჟი ატეხილიყო. ხელოვნური ნარგავების განახლება და აღდგენა ყოველთვის შეიძლება. იქ მოჭრილია რამდენიმე ფიჭვი და ზოგიერთი ფოთლოვანი ხე. მაგრამ ახლა რომ გავიდეთ ადგილზე, კიკვიძის პარკში, და დავათვალიეროთ და აღვწეროთ, აღმოვაჩენთ, რომ შესაძლოა 50 კი არა, 100 ხეც იყოს მოსაჭრელი. დაბერებულ და მოსაჭრელ ხეებს ვგულისხმობ. ამდენად, მე ეს ამბავი კატასტროფად არ მეჩვენება.“

გარემოსდაცვითი არასამთავრობო სექტორი კი გაჩერებას არ აპირებს. სხვადასხვა სახის საპროტესტო აქცია უახლოეს მომავალშია დაგეგმილი, მით უმეტეს, რომ, მათი ინფორმაციით, იგივე ბედი ელის თბილისის კიდევ არაერთ სკვერსა და ბაღს.

ყაზბეგის ეროვნულ პარკს ტერიტორია ჩამოაჭრეს

ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორია მცირდება, რისი მიზეზიც ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაა.

„დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების მიხედვით, ამჟამად ყაზბეგის ეროვნული პარკის შემადგენლობაში 8 707 ჰექტარი შედის. კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში კი, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორია 8 698 ჰექტარამდე შემცირდება.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში კანონპროექტის მომზადების მიზეზად, ყაზბეგის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ჰიდროენერგეტიკული პროექტის განხორციელების ხელშეწყობის აუცილებლობაა დასახელებული.

კანონპროექტის ავტორი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროა, ინიციატორი კი მთავრობა.

ნაგავსაყრელების მოსაწყობად ახალი სამსახური შეიქმნება

ნაგავსაყრელების მოსაწყობად ახალი სამსახური შეიქმნება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება პარლამენტმა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეიტანა.

აქამდე მოქმედი კანონმდებლობით,მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ნაგავსაყრელების მოწყობა,დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება.

კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტით იგეგმებოდა, რომ თვითმმართველობებისთვის ჩამოეშორებინათ, როგორც ნაგავსაყრალების მოწყობის, ისე დასახლებებში ქუჩების დასუფთავების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვის, განხორციელების უფლებამოსილებები.

თუმცა, კანონპროექტის საბოლოო და უკვე დამტკიცებული ვარიანტით, ადგილობრივ თვითმმართველობებისთვის მხოლოდ ნაგავსაყრელების მოწყობის უფლების ჩამოშორების გადაწყვეტილება მიიღეს.

ნაგავსაყრელების მოწყობის მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2012 წლის პირველ აპრილამდე, სახელმწიფო ქონების განკერძოების გზით, შესაბამისი პროფილის კერძო სამართლის იურიდიული პირი უნდა დააფუძნოს და მისი 100%-იანი წილი მართვის უფლებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადასცეს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ნაგავსაყრელების მოწყობა, მიმდინარე წლის 1-ელი მაისიდან უნდა დაიწყოს.

კანონპროექტის პირვანდელი ვარიანტით, აღნიშნულ უწყებას მომავალი წლიდან, ქუჩების დასუფთავების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების სამუშაოს ორგანიზებაც უნდა გაეწია.

www.Ipn.ge

cenn.org მწვანე გაზეთი
რასაც ზრნავთ ეკეთეთ ეროვნული მოსახლეობის მხარდასაჭერად
CENN Caucasus Environmental NGO Network

სოფლები საძოვრების გარეშე რჩებიან

თეა თოფურია, www.netgazeti.ge

საქართველოში არსებული საძოვრების დიდი ნაწილი ეკლებითა და ჭაობებით არის დაფარული. იმ ნაკვეთებზე, სადაც სოფლის ნახირი დადის, გადაძოვების გამო ეროზია ვითარდება. მოსახლეობა კუთვნილი საძოვრების მოვლასა და მართვას ვერ ახერხებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ექსპერტის, ამირან კოჩალაძის თქმით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ცხვრის რაოდენობა განახევრდა. ქართველ წყემსებს აღარ აქვთ საშუალება, ცხვარი აზერბაიჯანის საძოვრებზე გადაიყვანონ. მოუვლელია თვით საქართველოში არსებული საძოვრებიც, რაც მესაქონლეობის განვითარებაზე უარყოფითად აისახება. საძოვრებზე გაჩნდა ტოქსიკური ბალახი. ხშირად იწამლებიან ცხოველები. ინტოქსიკაციის შემთხვევები, ძირითადად, ადრე გაზაფხულზე და შემოდგომაზე ფიქსირდება.

საგარეჯოს რაიონის სოფელ წყაროსთავის მოსახლეობა თავს მესაქონლეობით ირჩენს, თუმცა სოფლის საძოვრების დიდი ნაწილი შამბნარითაა დაფარული.

„სამი ძროხა და სამი ხარი მყავს. სოფლის საძოვრები არ გვყოფნის. გაშამბნარებული საძოვრები რომ გასუფთავდეს, ცხვარსაც გავიჩენდი, მაგრამ მაგაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ძალიან დიდი თანხა უნდა“, – ამბობს წყაროსთავის მოსახლე დათო გაგნიაშვილი.

იგივეს იმეორებს წყაროსთავის კიდევ ერთი მცხოვრები ნუკრი დათუნაშვილი. ის უკვე მესაქონლეობას აღარ მისდევს:

„ისეთი ბალახია ამოსული, რომელიც საქონლისთვის არ ვარგა. გასუფთავება უნდა, ამოძირკვა“.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENN) ჩაატარა კვლევა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. გაირკვა, რომ გლობალური დათბობა ისედაც ეროზირებულ საძოვრებს კიდევ უარეს მდგომარეობაში აყენებს. ამჯერად CENN-ი ახორციელებს საპილოტე პროექტს საძოვრებთან დაკავშირებით. პროექტის მიზანი ერთ რომელიმე სოფელში საძოვრის აღდგენა და მოსახლეობის დახმარებაა, რათა მათ ამ საძოვრების სწორად მართვა შეძლონ.

„რაც ჩვენ საძოვრები ვნახეთ, უკვე უდაბნოსთვის მახასიათებელი მცენარეებია ამოსული. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა ამ მიწების გაუდაბნოება დაიწყოს, ამიტომ ჩარევაა საჭირო“, – ამბობს ექსპერტი ამირან კოჩალაძე.

მისივე თქმით, საძოვრების მართვა ისევ მოსახლეობამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე. აუცილებელია ნაკვეთმონაცვლეობის დანერგვა. ერთი კვირის განმავლობაში ერთ ნაკვეთზე უნდა აძოვონ საქონელი, მეორე კვირის განმავლობაში – მეორეზე. თითოეული ნაკვეთი ერთი თვის განმავლობაში უნდა „ისვენებდეს“.

„ახლა ასე არ ხდება, გაუშვებენ საქონელს და მორჩა. სწორედ ამან გამოიწვია საძოვრების გაუარესება. მთავრობისგან დახმარება შეიძლება ის იყოს, რომ ინფრასტრუქტურა გააუმჯობესოს. აი, გვინდოდა საძოვრამდე მისვლა და ვერ მივედით, რადგან გზა არ არის“, – ამბობს ამირან კოჩალაძე.

სოფლის მეუნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ექსპერტი მეცხოველეობის დარგში, ელიოზ ხაჭაპურიძე ამბობს, რომ თუ საძოვარი დაჭაობებულია, აუცილებელია საწრეტი არხების გაკეთება, შემდეგ ნაკვეთი ყველაფერი ზედმეტისგან უნდა გათავისუფლდეს, იქნება ეს ბუჩქი თუ ქვა. ასევე, უნდა გამდიდრდეს ნიადაგი სასუქებით. თუ ბალახი მეჩხერია, უნდა დაითესოს, ამასთან, ზუსტად უნდა შეირჩეს ბალახის თესლიც.

„დღეს რომ საზაფხულო საძოვრებს გადახედო, გინდა ახალქალაქისას, გინდა ნინოწმინდისას, სულ შხამას მიაქვს იქაურობა. ერთ ფარასაც ვერ გამოაზამთრებენ“, – ამბობს ელიოზ ხაჭაპურიძე.

„ბუნება და საძოვრების რაოდენობაც ხელს გვიწყობს, რომ აქ მესაქონლეობა განვითარდეს, მაგრამ მრავალი პრობლემაა. 200 ჰა საძოვარია და მესამედი ჭაობი. ადრე საქაჩები იდგა, მაგრამ მერე მოიშალა. ჩვენი სახსრებით მაგის გაკეთება არც მიფიქრია, ძალიან დიდი სამუშაოა ჩასატარებელი“, – ამბობს საგარეჯოს რაიონის სოფელ თოხლიაურის მკვიდრი ნოდარ ჯავახიშვილი.

წყაროსთავის სოფლის რწმუნებული ნიკოლოზ ბეჟიტაშვილი ადასტურებს, რომ საძოვრები უპატრონოდაა მიტოვებული: „ჯანგნარითაა დაფარული, ზოგან უკვე მეწყერიც ჩამოწვა, ზოგან მისასვლელი გზაც არ არის. ალაგ–ალაგ რაღაც მონაკვეთებია დარჩენილი და მოსახლეობა საქონელს მანდ აძოვებს“.

როგორც წყაროსთვალის, ასევე, სოფელ ნინოწმინდის რწმუნებული ოთარ როჩიკაშვილიც ამბობს, რომ საძოვრების მოვლა–პატრონობისთვის თანხა ბიუჯეტში არასოდეს გამოყოფილა, მათ შორის არც სოფლის პროგრამის ფარგლებში.

იმ სახეობების რაოდენობა, რომლებიც გადაშენების პირას იყვნენ, გაორმაგდა

გარემოს დაცვის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა, აშოკ ხოსლამ განაცხადა, რომ დედამიწა ბიოსფეროს განადგურების მორიგ ეტაპზე გადავიდა, რომლის შედეგადაც ათასობით სახეობა გაქრება.

ყოველდღიურად, მსოფლიოში, ხანძრის შედეგად 50 ჰა ტყე ნადგურდება. დღეში 20 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები უდაბნოდ იქცევა. ატმოსფეროში, დღე-ღამეში, 60 მილიონი ტონა მხუთავი აირი გამოიყოფა, რომლის სავალალო შედეგებიც დედამიწის ყველა კუთხეზე აისახება.

კაცობრიობა თვალყურს ადევნებს მეექვსე მსოფლიო განადგურებას, რომელიც მას შემდეგ მიმდინარეობს, რაც დედამიწა წარმოიშვა. წინა, მეხუთე განადგურების ციკლმა დინოზავრების გადაშენება გამოიწვია. 2050 წელს დედამიწაზე თევზის ყველა სახეობა გაქრება.

დღეისთვის, ცხოველებისა და მცენარეების 19.6 ათასამდე სახეობა გადაშენების პირასაა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, იმ სახეობების რაოდენობა, რომლებიც გადაშენების პირას იყვნენ, გაორმაგდა.

2020 წლისთვის დედამიწას შიმშილობა ემუქრება

მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კლიმატის ცვლილება, რომელიც ატმოსფეროში სასათბურე გაზების ანთროპოლოგიური გაფრქვევითაა გამოწვეული, 2020 წლისთვის სოფლის მეურნეობის წარმოების დეფიციტს გამოიწვევს. ეს დედამიწის ყოველ მეხუთე ადამიანს შიმშილისთვის გაწირავს. ამის შესახებ კლიმატოლოგთა „მსოფლიო ეკოლოგიური ფონდის“ არაკომერციული ორგანიზაციის მოხსენებაშია ნათქვამი.

დღეს საკვების უკმარისობას დედამიწის ყოველი მეშვიდე მცხოვრები განიცდის. 2020 წლისთვის კი უმეტეს ქვეყნებში კლიმატის დათბობის შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქტები შემცირდება, რის გამოც დედამინის მზარდი მოსახლეობის გამოკვება შეუძლებელი გახდება.

კლიმატოლოგები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე სცენარის მიხედვით, სასათბურე გაზების შეუზღუდავი გაფრქვევა დედამიწაზე კლიმატს 2,4 გრადუსით გაზრდის.

ამასთან, დედამიწის მოსახლეობა სულ მცირე, 900 მილიონით გაიზრდება და 7-8 მილიარდს მიაღწევს.

კლიმატური ცვლილებების შედეგად სხვადასხვა ქვეყანაში მოსავლის განადგურება ისეთ მასშტაბს მიაღწევს, რომ ხორბლის დეფიციტი 14% იქნება, 11 %-ით ნაკლები ბრინჯი იწარმოება, ხოლო სიმინდი 9%-ით ნაკლები იქნება. მეცნიერთა დასკვნით, ამ ტიპის წარმოება რუსეთში უკვე მცირდება.

მეურნეობის შემცირების უკმარისობა ტემპერატურის ცვლილებებითა და არასაკმარისი წყლის მიწოდებით იქნება გამოწვეული.

იმის გამო, რომ მარცვლოვანი პროდუქციის დაახლოებით 35% შინაური ცხოველების კვებას ხმარდება, მეცნიერები ხორცის წარმოების შემცირებასაც ვარაუდობენ. შესაძლოა, ამან რეალური ფასები 20%-ით გაზარდოს.

ამდენად, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ატმოსფეროში ნარჩენების გაფრქვევის შემცირება უკეთესობისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება. სამწუხაროდ, ცალკეული ქვეყნების ოფიციალური პირები ამ საკითხზე შეთანხმებას ვერ ახერხებენ.

ამასთან, შიმშილის დაძლევის კიდევ ერთ საშუალებად მეცნიერები კვების რაციონში ახალ საკვებზე – ცილებსა და ნახშირწყალებზე გადასვლას მიიჩნევენ.

www.Ekofact.com

CENN - საქართველო
სათავო ოფისი
ბეთლემის ქ. №27
0105. თბილისი
ტ +995 32 275 19 03/04
ფ +995 32 275 19 05
info@cenn.org
www.cenn.org

CENN - სომხეთი
ჰერაცის ქ. №16
ერევანი
ტ/ფ +3741 0 57 57 79
info.armenia@cenn.org

CENN - აზერბაიჯანი
გარა გარაევის გამზ. №124/128
ბაქო
ტ +99412 4394113
ფ +99412 4743004
info.azerbaijan@cenn.org

CENN Caucasus Environmental NGO Network USAID ამერიკელი ხალხისგან

გაზეთი მომზადდა პროექტის „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო **USAID**-ის მხარდაჭერით, **AID-114-A-09-00007** ხელშეკრულების საფუძველზე. სტატიებში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

Annex 7: Conference on Climate Change Adaptation and Natural Disaster Mitigation

From: Info CENN [mailto:info@cenn.ge]
Sent: Monday, January 16, 2012 3:00 PM
To: 0
Subject: [cenn_ge] Prospects for the Introduction of Insurance Programs in Natural Disaster Risk Zones

ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზონებში სადაზღვევო პროგრამების ამოქმედების პერსპექტები

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანოზაციების ქსელისა (CENN) და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კავშირ ,,ბორჯღალო“-ს ერთობლივი ორგანიზებით, 13 იანვარს ბათუმში, ,,ბორჯღალო“-ს ოფისში მოეწყო მრგვალი მაგიდა თემაზე: ,,ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზონებში სადაზღვევო პროგრამების ამოქმედების პერსპექტები“. შეხვედრას აჭარის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიების, აჭარის გეოლოგიის სამსახურისა და განსახლების დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე შედგა

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანოზაციების ქსელის (CENN) პროექტი: ,,კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება“-ს პრეზენტაცია, წარმოდგენილი იქნა პროექტის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

შეხვედრა განხილული იქნა მაღალმთიან აჭარაში ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზონებში არსებული მდგომარეობა და სტიქიით დაზარალებულ ოჯახებისათვის ფინანსური კონპენსაციების გაცემის სისტემა და კრიტერიუმები. ,,ბორჯღალო“-მ წარმოადგინა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი: ,,ეკომიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესების ხელშეწყობა“-ს ფარგლებში მომზადებული ინიციატივა რისკის ზონებში სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის ამოქმედების შესახებ, რომლის მიხედვით აჭარის მუნიციპალიტეტებში მაღალი რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების დაზღვევის სისტემა ამოქმედდება, სახელმწიფო უზრუნველყოფს ოჯახების დაზღვევას, ხოლო სტიქიური მოვლენის შედეგად საცხოვრებელი სახლების დაზიანების შემთხვევაში დაზარალებულთათვის ზარალის ანაზღაურება უკვე სადაზღვევო კომპანიების პასუხისმგებლობის ქვეშ გადავა. სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ უფრო აქტიურად განიხილონ აღნიშნული ინიციატივა და მოხდეს ყველა ძირითადი კომპონენტის დეტალური ანალიზი. გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველი იქნება რომელი კონკრეტული თემისა და სოფლის მაგალითზე საპილოტე პროექტის გაკეთება, რომელიც შესაძლებლობას შექმნის აღნიშნული ინიციატივის როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები ფართოდ იქნეს წარმოჩენილი. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ რომ სამთავრობო სტრუქტურების, არასამთავრობო ორაგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებისაგან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზონებში სახელმწიფო დაზვევის პროგრამის კონცეფციას შეიმუშავებს.

CENN
Caucasus Environmental NGO Network

CENN is a member of the:

GEF-NGO Network

IUCN Member

This information was sent by info@cenn.org

Instant removal with SafeUnsubscribe
| Editorial Policy | Privacy Policy.

T +995 32 275 19 03/04

F +995 32 275 19 05

info@cenn.org

www.cenn.org

From: Info CENN [mailto:info@cenn.ge]
Sent: Monday, January 23, 2012 3:35 PM
To: 0
Subject: [cenn_ge] Climate Change and Farmers without Crops

კლიმატური ცვლილება და გლეხები მოსავლის გარეშე

თეა თოფურია

კლიმატური ცვლილებების შედეგად დედოფლისწყაროში ოდესღაც ნაყოფიერი მიწა უდაბურდება, თუმცა ეს არ არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ადგილობრივი ფერმერების ნაწილმა მიწების დამუშავება შეწყვიტა.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად, 2020-2050 წლებში ჰაერის საშუალო მრავალწლიური ტემპერატურა 2,5-3 °C-ით მოიმატებს (ტემპერატურა უკვე გაზრდილია 0,6 გრადუსით), რის გამოც მოსალოდნელია სახნავ-სათესი მიწების, ბაღ-ბოსტნების, ვენახებისა და საძოვრების პროდუქტიულობის საგრძნობლად შემცირება.

მკვლევარების თქმით, გაუდაბნოების პროცესი გაძლიერდება დედოფლისწყაროს მუნიციპა-ლიტეტის ტერიტორიის დიდ ნაწილზე. პრობლემას ისიც ამძიმებს, რომ რაიონში არ არსებობს სარწყავი არხები.

ასევე, გაჩეხილია ქარსაფარი ზოლები, რის გამოც ქარი ნიადაგის ზედა ფენას (სადაც მარცვალია) ადვილად ანადგურებს.

მკვლევარები ადგილობრივ მთავრობას შემდეგ რეკომენდაციას აძლევენ: სასწრაფოდ დაიწყოს არსებული წყალგამოყენების სისტემის სრული რეაბილიტაცია-გაფართოება, ახალი წყალდამზოგავი სისტემებით აღჭურვა, მკაცრი კონტროლი დაწესდეს არანორმირებული რწყვის აღსაკვეთად, ასევე, აუცილებელია დაწვიმებითი და წვეთოვანი მორწყვის ხერხების და წესების დანერგვა, ქარსაცავი და მინდორსაცავი ზოლების აღდგენა-რეაბილიტაცია.

ნიადაგდამცავი უნარის მქონე ტყის კორომების აღდგენა, მკაცრი კონტროლის დაწესება ტყის უსისტემო ჭრებზე, გვალვაგამძლე აგროკულტურების შერჩევა და ა. შ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ მიმდინარე წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში, 6 ჰა ფართობზე დაგეგმილია წვეთოვანი სისტემის, სატუმბი სადგურისა და სადაწნეო მილსადენის მოწყობა.

სამინისტროს მელიორაციის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ვალერიან მჭედლიძის თქმით, წელსვე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სამელიორაციო სისტემებზე სარეაბილიოტაციო სამუშაოების ჩატარება, რაც წყალუზრუნველყოფილ ფართობებს 600-650 ჰექტრით გაზრდის.

დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრის, გელა თეთრაულის თქმით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ ქარსაცავი ზოლების აღდგენა დაიწყო, თუმცა ის სხვა პრობლემებზე საუბრობს, რომელთა მოგვარებას თვითმმართველობა ექსპერტების დახმარების გარეშე ვერ ახერხებს:
„ორ წელიწადს ზედიზედ ხორბალს რომ დათესავ, მერე სხვა კულტურით უნდა ჩაანაცვლო, აქამდე მზესუმზირით ვანაცვლებდით. ახლა მზესუმზირა საკმარისად აღარ მოდის და რა დავთესოთ, არ ვიცით. გვინდა ისეთი კულტურა, რომელიც ამ პირობებში მოვა კიდეც და გაყიდვადიც იქნება. სწორედ ამაში გვინდა ექსპერტების დახმარება“.

„ჩვენ ვმუშაობთ გერმანელ ექსპერტებთან, მათი მეშვეობით ვსწავლობთ, თუ რა უნდა გაკეთდეს არსებული პრობლემების მოსაგვარებლად,“ – ამბობს დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილე ალექსანდრე ალუღიშვილი.

ჯემალ კვანჭილაშვილი უკვე 50 წელია დედოფლისწყაროში ფერმერულ მეურნეობას ეწევა. 200 ჰა მიწა აქვს საკუთრებაში, თუმცა ამბობს, რომ, შექმნილი პრობლემების გამო, მიწის დამუშავება აღარ ღირს.

„შირაქის მინდვრებს რომ გახედო, აგეტირება, იქაურობა გავერანებულია, საქონლის სათარეშოდ არის გამხდარი“, – ამბობს ჯემალ კვანჭილაშვილი.
„შირაქში 20 ჰა მიწა მაქვს, რომელიც ახლა დაუმუშავებელია. ძირითადად, საშემოდგომო ხორბალი და ქერი მოგვყავდა, ახლა სიმინდიც შემოიღეს, მაგრამ სიმინდის აღება ჭირს და ვერიდებით. სიმინდის საშრობებიც არ არის,“ – ამბობს ვალიკო ღორაშვილი.

ფერმერების თქმით, მიწების დამუშავება საწვავისა და სასუქის სიძვირის გამოც უჭირთ.

„სახლიდან 25-55 კილომეტრზეა ჩვენი მიწები. ტრაქტორს აიყვან, საწვავი უნდა ჩაასხა, დათესვა გინდა, ისევ საწვავი, მანქანით სიარულსაც – საწვავი... სიშორის გამო, ზამთარში ვერ ვიცავთ, საქონელი და ცხვრის ფარები დადის ზედ“, – ამბობს ვალიკო ღორაშვილი.

„ჩვენთან ძირითადი პრობლემა საწვავისა და სასუქის სიძვირეა. წლების განმავლობაში ვერავინ ახერხებს, რომ ნიადაგი სასუქით დაამუშაოს. მიწა გამოიფიტა. ის საკვები ელემენტები, რომელიც ნორმალური მოსავლის მოსაყვანად არის საჭირო ნიადაგში აღარ არის“, – ამბობს ჯემალ კვანჭილაშვილი.

მისივე თქმით, მიღებული მოსავალი დანახარჯებს ვერ ანაზღაურებს:

„40 თეთრს იძლევიან კილო ხორბალში, რაც ძალიან ცოტაა. მე 160 ტონა ხორბალი საწყობში მაქვს, ერთი გრამიც არ გამიყიდია, რადგან ხარჯს ვერ ანაზღაურებს. უმრავლესობამ მოსავლის მოყვანაზე ხელი ჩაიქნია, ვერ ასაღებენ.“

დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილე ალექსანდრე ალუღიშვილი უარყოფს, რომ მოსახლეობას მოსავლის გასაღების პრობლემა აქვს.

შესაბამისი ვიდეომასალა იხ. შემდეგ ბმულზე: http://youtu.be/SC3OL2meee4

****

მასალა მომზადდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – "რეგიონული საკითხების გაშუქება" – ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტთან „კლიმატის ცვილებისათვის ადაპტაცია და კატასტროფების რისკის შემცირება“ თანამშრომლობით. მასალის შინაარსი არ გამოხატავს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოსაზრებებს და შეხედულებებს.

Caucasus Environmental NGO Network

CENN is a member of the:

This information was sent by info@cenn.org

Instant removal with SafeUnsubscribe
| Editorial Policy | Privacy Policy.

T +995 32 275 19 03/04

F +995 32 275 19 05

info@cenn.org

www.cenn.org

From: Info CENN [mailto:info@cenn.ge]
Sent: Monday, January 23, 2012 3:44 PM
To: 0
Subject: [cenn_ge] Meeting on Climate Change and Natural Disasters at the Press Cafe in Batumi

შეხვედრა პრეს-კაფეში კლიმატის ცვლილებებისა და

ბუნებრივი კატასტროფების თემაზე

სამშაბათს, 24 იანვარს, 12 საათზე, ბათუმში, პრეს-კაფეში გაიმართება კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელისა (CENN) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის: *„კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება (CCADM)“* პრეზენტაცია.

CENN-ის რეგიონალური წარმომადგენელი აჭარის სამთავრობო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აღნიშნული პროექტის პრიორიტეტულ მიმართულებებს და 2012 წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების გეგმას გააცნობს. განიხილება სამთავრობო დაწესებულებებთან და სამოქალაქო სექტორთან ურთიერთთანამშრომლის ძირითადი მექანიზმები და ფორმები.

შეხვედრაზე ასევე სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კავშირი ,,ბორჯღალო“ ეკომიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესების რეკომენდაციათა პაკეტს წარადგენს. შეხვედრის მიწურულს კი დისკუსიის რეჟიმში, ექსპერტებთან ერთად კლიმატის

ცვლილებების კონტექსტში, აჭარის რეგიონის აქტუალური ეკოლოგიური პრობლემები განიხილება.

****

მასალა მომზადდა პროექტის „კლიმატის ცვილებისათვის ადაპტაცია და კატასტროფების რისკის შემცირება“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ის მხარდაჭერით, AID-114-A-09-00007 ხელშეკრულების საფუძველზე. სტატიაში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

CENN
Caucasus Environmental NGO Network

CENN is a member of the:

GEF-NGO Network

IUCN Member

This information was sent by info@cenn.org

Instant removal with SafeUnsubscribe | Editorial Policy | Privacy Policy.

T +995 32 275 19 03/04

F +995 32 275 19 05

info@cenn.org

www.cenn.org

From: Info CENN [mailto:info@cenn.ge]
Sent: Monday, January 30, 2012 1:08 PM
To: 0
Subject: [cenn_ge] Meeting on Climate Change and Natural Disasters Held at the Press Cafe in Batumi

შეხვედრა პრეს-კაფეში კლიმატის ცვლილებებისა და

ბუნებრივი კატასტროფების თემაზე

24 იანვარს, 12:00 საათზე, ბათუმში პრეს-კაფეში გაიმართა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) პროექტის: *"კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება (CCADM)"* პრეზენტაცია. CENN–ის რეგიონალურმა წარმომადგენლობამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადენლებს აღნიშნული პროექტის პრიორიტეტული მიმართულებები და 2012 წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების გეგმა გააცნო. შეხვედრაზე განხილული იქნა ის ძირითადი მექანიზმები და ფორმები, რომლის მიხედვითაც აღნიშნული პროექტის ფარგლებში შედგება თანამშრომლობა სამთავრობო დაწესებულებებსა და სამოქალაქო სექტორს შორის. შეხვედრაზე, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ბორჯღალო“-მ ეკომიგრაციის სახელმწიფო რეგულაციების კუთხით კონკრეტული რეკომენდაციათა პაკეტი წარადგინა, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის: ,,ეკომიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესების ხელშეწყობა“ ფარგლებში მომზადდა.

შეხვედრის მეორე ნახევარში დისკუსიის რეჟიმში, ექსპერტებთან ერთად კლიმატის ცვლილებების კონტექსტში, აჭარის რეგიონის აქტუალური ეკოლოგიური პრობლემების განხილვა შედგა. ორგანიზაცია ,,მთა-ბარი“-ს თავმჯდომარემ ზურაბ მანველიძემ სატყეო რესურსების მართვის ძირითადი ასპექტები მიმოიხილა. ექსპერტმა საშა ხორავამ შავი ზღვის აჭარის სანაპირო ზოლში მიმდინარე აბრაზიულ პროცესებზე და განხორციელებულ ნაპირდაცვით სამუშაოებზე ისაუბრა. ასოციაცია ,,ფლორა და ფაუნა“-ს დირექტორმა არჩილ გუჩმანიძემ კი შეხვედრის მონაწილეებს შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები გააცნო და

მათზე კლიმატის ცვლილებების გავლენის შესაძლო შედეგები განიხილა.

CENN-ისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კავშირ ,,ბორჯღალო“-ს ერთობლივი ორგანიზებით ანალოგიური სახის შეხვედრები აქტუალურ გარემოსდაცვით თემებზე სამომავლოდაც გაგრძელდება და სისტემატურ სახეს მიიღებს, რაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიური პრობლემების მაქსიმალურად ფართოდ წარმოჩენას და უზრუნველყოფს ამ პრობლემების განხილვა-გადაწყვეტის პროცესში, სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო სექტორს შორის მუდმივ კომუნიკაციასა და ურთიერთთანამშრომლობას.

****

მასალა მომზადდა პროექტის „კლიმატის ცვილებისათვის ადაპტაცია და კატასტროფების რისკის შემცირება“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ის მხარდაჭერით, AID-114-A-09-00007 ხელშეკრულების საფუძველზე. სტატიაში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

Caucasus Environmental NGO Network

CENN is a member of the:

GEF-NGO Network

IUCN Member

This information was sent by info@cenn.org

Instant removal with SafeUnsubscribe | Editorial Policy | Privacy Policy.

T +995 32 275 19 03/04

F +995 32 275 19 05

info@cenn.org

www.cenn.org

From: Info CENN [mailto:info@cenn.ge]
Sent: Wednesday, February 08, 2012 5:50 PM
To: 0
Subject: [cenn_ge] Training on the Problems of Natural Disasters in Georgia (from Prevention to Liquidation): Update

ტრენინგი თემაზე
ბუნებრივი კატასტროფების პრობლემატიკა საქართველოში
(პრევენციიდან - ლიკვიდაციამდე)

გაცნობებთ, რომ CENN-ის აჭარის რეგიონალური წარმომადგენლობის, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ბორჯღალო"-ს და ასოციაცია ,,გენეზისი"-ს ერთობლივი ორგანიზებით, ბათუმში ,,ბორჯღალო"-ს ოფისში სტუდენტებისათვის ჩატარებული ტრენინგი თემაზე: ,,ბუნებრივი კატასტროფების პრობლემატიკა საქართველოში (პრევენციიდან - ლიკვიდაციამდე)" ***9 თებერვლიდან - 13 თებერვლის ჩათვლით*** მიმდინარეობს.

****

მასალა მომზადდა პროექტის „კლიმატის ცვილებისათვის ადაპტაცია და კატასტროფების რისკის შემცირება" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ის მხარდაჭერით, AID-114-A-09-00007 ხელშეკრულების საფუძველზე. სტატიაში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

CENN is a member of the:

This information was sent by info@cenn.org

Instant removal with SafeUnsubscribe | Editorial Policy | Privacy Policy.

T +995 32 275 19 03/04

F +995 32 275 19 05

info@cenn.org

www.cenn.org

From: Info CENN [mailto:info@cenn.ge]
Sent: Thursday, March 22, 2012 2:48 PM
To: 0
Subject: [cenn_ge] Pilot Project in the Municipality of Keda

საპილოტე პროექტი
ქედის მუნიციპალიტეტში

აქტუალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა, კლიმატის ცვლილებების საადაპტაციო ღონისძიებების განხორციელება და რისკების ეფექტური მართვა ერთიანი სახელმწიფო მიდგომის ჩამოყალიბებასა და კოორდინაციას მოითხოვს, რაც თავის მხვრივ პრობლემებისა და საჭიროებების ადგილზე იდენტიფიცირებასა და სახელმწიფო სტრუქტურებს, სამოქალაქო სექტორსა და მოწყვლად ჯგუფებს შორის მუდმივ კომუნიკაციას საჭიროებს. სწორედ ამ მიზნით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) ავითარებს ღია გარემოსდაცვით სამოქალაქო ინიციატივას (OECI), რომლის ფარგლებში დაგეგმილია საპილოტე პროექტების განხორციელება სამიზნე მუნიციპალიტეტების სოფლებში.

ედასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი გეგმისა და წინასწარი კონსულტაციების ფუძველზე, განიხილება ეროზირებულ ფერდობებზე ჩხავერის გაშენება, რაც ბუნებრივი ტასტროფების რისკის პრევენციის გარდა შემოსავლების ზრდასაც ითვალისწინებს. ჩხავერი ურძნის უნიკალური ჯიშია, რომლის გავრცელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ENN–ის აჭარის რეგიონულმა კოორდინატორმა 20 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდალოში სწორედ ის სანერგეები მოინახულა სადაც ადგილობრივი მოსახლეები ჩხავერის იშის ვაზის ნერგებს აწარმოებენ. ჩხავერის როგორც ნერგების გამოყვანა, ასევე მისი გაშენება ა მოვლა სპეციფიკურ ცოდნას საჭიროებს, მიზანშეწონილია ჩხავერის გაშენება მზით ნათებულ, კირის შემცველ ფერდობ ნიადაგებზე და მისი მოვლა შესაბამისი მოთხოვნების აცვით უნდა მოხდეს, ამდენად მოსახლეობისათვის ჩხავერის ნერგების გადაცემასთან ერთად ათთვის მცირე ინსტრუქტაჟის ჩატარებაც მოხდება. აღნიშნულ ინიციატივას მხარდაჭერა ეუთქვა ქედის მუნიციპალიტეტის გამგეგელმა ირაკლი ბარამიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიქიური მოვლენების თვალსაზრისით ქედა აქტიური სენსიტიური ზონაა, მევენახეობა-ღვინეობის განვითარება კი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, დენად ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც ერთის მხვრივ ბუნებრივი ტასტროფების რისკის პრევენციას, ხოლო მეორეს მხვრივ უნიკალური ვაზის ჯიშის - ავერის გავრცელებასაც შეუწყობს ხელს ქედისათვის ორმაგად მნიშვნელოვანი იქნება. ნიციატივაში ჩართულია ღვინის კლუბი და ვაზის ფონდი, აუხლოეს პერიოდში სწორედ ენიშნულ ორგანიზაციებთან ერთად კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო რგანიზაციების ქსელი (CENN) განახორციელებს ექსპედიაცია ქედის მუნიციპალიტეტის ოფლებში, სადაც მევენახეების, მეღვინეების, აგრონომის, ბოტანიკოსის, გეოლოგისა და ეროზიონისტის მონაწილეობით, ზუსტად შეირჩევა პროექტის განხორციელების ადგილები და ეხდება შეთანხმება მოსახლეობასთან.

****

მასალა მომზადდა პროექტის „კლიმატის ცვილებისათვის ადაპტაცია და კატასტროფების რისკის შემცირება“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ის მხარდაჭერით, AID-114-A-09-00007 ხელშეკრულების საფუძველზე.

სტატიაში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

Caucasus Environmental NGO Network

CENN is a member of the:

GEF-NGO Network

IUCN Member

This information was sent by info@cenn.org

Instant removal with SafeUnsubscribe
| Editorial Policy | Privacy Policy.

T +995 32 275 19 03/04

F +995 32 275 19 05

info@cenn.org

www.cenn.org

From: Info CENN [mailto:info@cenn.ge]
Sent: Monday, April 02, 2012 5:32 PM
To: 0
Subject: [cenn_ge] The Implementation of a Pilot Project Initiated in the Municipality of Keda

ქედის მუნიციპალიტეტში საპილოტ
პროექტის განხორციელება დაიწყ

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ორციელებს პროექტს: *,,კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების სკის შემცირება (CCADM)“*, რომლის ფარგლებში საქართველოს რამოდენიმე რეგიონის სამიზნე უნიციპალიტეტებში სხვადასხვა სახის საპილოტე პროექტები ხორციელდება, აჭარაში, ქედის მუნიციპალიტეტში ეროზირებულ ფერდობებზე უძველესი ქართული ყურძნის ჯიშის - ავერის გაშენება იგეგმება. მრავალწლიანი კულტურები ეროზირებული ნიადაგის გამაგრებას და პოტენციური რისკების შემცირებას უწყობს ხელს, ბუნებრივი კატასტროფების რისკის პრევენციის გარდა, უნიკალური და საკმაოდ მოთხოვნადი ყურძნის ჯიშის გაშენებით ღნიშნული საპილოტე პროექტი ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლების ზრდასაც ითვალისწინებს. პროექტის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული ღვინის კლუბი და ვაზის ფონდი.

29-31 მარტს ქედაში მოეწყო ექსპედიცია, რომელშიც CENN და ღვინის კლუბის წარმომადგენლები ღებულობდნენ მონაწილეობას. ექსპედიციის დაწყებამდე 29 მარტს შედგა შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრთან და გეოლოგიის სამსახურის უფროსთან. მინისტრმა დონარა სურმანიძემ პროექტს მხარდაჭერა ჯუთქვა, სამინისტროს სპეციალისტები ჩხავერის ჯიშის ნერგების მოძიებასა და შემდგომ უკვე დარგვის პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან და გაშენება-მოვლის სპეციფიკაზე ადგილობრივ ოსახლეობას კონსულტირებას გაუწევენ. გეოლოგიის სამსახურის უფროსმა ტარიელ ტუსკიამ კი პროექტის ორგანიზატორებს გაუწია რეკომენდაცია, თუ კონკრეტულად ქედის მუნიციპალიტეტის რომელ სოფლებში იქნება ყველაზე ეფექტური ეროზიული პროცესების პრევენციის თვალსაზრისით ვაზის გაშენება. სახელმწიფო ორგანოებთან კონსულტაციების შემდგომ ექსპედიცია სოფელ აჭარისწყალზე ,,აჭარული ღვინის სახლი“-ს მონახულებით აიწყო, სადაც აქცენტი სწორედ ჩხავერის ჯიშზე კეთდება, 2010 წლის მოსავლიდან ,,აჭარული ღვინის სახლი“-ს მიერ ექსკლუზიურად ჩამოსხმული იქნა 700 ბოთლი ჩხავერი, თითოეული ბოთლის ღირებულება კი 50 ლარს შეადგენს.

ექსპედიციის განმავლობაში CENN-ისა და ღვინის კლუბის წარმომადგენლებმა ქედის მუნიციპალიტეტის ის სოფლები მოინახულეს, სადაც მევენახეობის განსაკუთრებით დიდი ტრადიციები არსებობს, შედგა შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან და დათვალიერებული იქნა ის ეროზიული რისკის ფერდობები, სადაც ვაზის გაშენება განსაკუთრებით ეფექტური იქნება. საბოლოო ჯამში კი სამიზნე არეალად მერის თემი შეირჩა, სწორედ აღნიშნული თემის შეამდგენლობაში შემავალი 4 სოფლის 40 ოჯახს მაისი მიწურულს 00-მდე ჩხავერის ყურძნის ჯიშის ნერგი გადაეცემა. ჩხავერის გაშენება და მოვლა სპეციფიკურ ცოდნას საჭიროებს, ამდენად მოსახლეობისათვის ჩხავერის ნერგების გადაცემასთან ერთად მათთვის ინსტრუქტაჟის ჩატარებაც მოხდება და მოსახლეობისთვის მცირე საინფორმაციო ბუკლეტებიც დაიბეჭდება.

****

მასალა მომზადდა პროექტის „კლიმატის ცვილებისათვის ადაპტაცია და კატასტროფების რისკის შემცირება“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ის მხარდაჭერით, AID-114-A-09-00007 ხელშეკრულების საფუძველზე. სტატიაში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

Caucasus Environmental NGO Network

CENN is a member of the:

GEF-NGO Network

IUCN Member

This information was sent by info@cenn.org

Instant removal with SafeUnsubscribe | Editorial Policy | Privacy Policy.

T +995 32 275 19 03/04

F +995 32 275 19 05

info@cenn.org

www.cenn.org

From: Info CENN [mailto:info@cenn.ge]
Sent: Tuesday, April 10, 2012 1:27 PM
To: 0
Subject: [cenn_ge] Conference on Climate Change, 11 April, 2012

კონფერენცია კლიმატის ცვლილების თემაზე

ხვალ, 11 აპრილს, სასტუმრო "ამბასადორში" CENN ჩაატარებს კონფერენციას თემაზე *„კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება"*. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება *აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო* – USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული კლიმატის ცვლილების სცენარები, კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციო მუნიციპალური გეგმები და პილოტური პროექტები.

კონფერენციის მიზანია, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება, თემატური დიალოგის განვითარება და მომავალი თანამშრომლობის დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების საკითხების გათვალისწინებასა და ინტეგრირებას სახელმწიფო პროგრამებსა და განვითარების გეგმებში.

პროექტი ხორციელდება ხელვაჩაურის, ქედის, ბორჯომის, ახალციხის, საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. ინიციატივის მიზანია ადგილობრივი თემების გაძლიერება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კუთხით და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო სტრუქტურების, კვლევითი ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლები.

CENN is a member of the:

This information was sent by info@cenn.org

Instant removal with SafeUnsubscribe | Editorial Policy | Privacy Policy.

T +995 32 275 19 03/04

F +995 32 275 19 05

info@cenn.org

www.cenn.org

Annex 8: Newspaper Articles

http://dedoplistskaro.ge/

http://dedoplistskaro.ge/ | რეალ TV - timeshifted online t... | დედოფლისწყარო

Edit in Contribute | Post to Blog

საგამოფენო დარბაზი უამრავ სტუმარს მიიღებს.

27.03.2012

.....

CENN საპილოტე პროექტების განხორციელებას იწყებს

კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი, სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან (REC,USAID) ერთად, უკვე მესამე წელია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ახორციელებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით პროექტებს. ერთ-ერთი ასეთი პროექტია ,,კლიმატის ცვლილების ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება". ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა უამრავი პრობლემა, რომელიც ძველი სისტემის წგრევით და გლობალური დათბობის შედეგებითაა გაპირობებული. ამ ცოტა ხნის წინ ჩატარდა CENN-ის წარმომადგენლების შეხვედრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან დედოფლისწყაროში არსებული პრობლემების განხილვის და შესაძლო პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობათა გამოვლენის მიზნით. შეხვედრის შემდეგ, საპილოტე პროექტის ღირებულების ფარგლებში, განსახორციელებელ საკითხად შეირჩა კერძო მოსახლეობის სარგებლობაში არსებული სამოვრების თემა.

21 მარტს CENN-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი რეზო გეთიაშვილი, პროექტში მოწვეულ ექსპერტთან ელიოზ ხაჭაპურიძესთან ერთად, პროექტის დეტალების დაზუსტების მიზნით, კვლავ შეხვდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი, საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე ზაზა ფიროსმანაშვილი და საკრებულოს აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გელა თეთრაული. როგორც გადაწყდა, საჩვენებელი პროექტი განხორციელდება ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობის სარგებლობაში არსებულ სამოვარზე, რომელიც ე. წ. ქონების ტერიტორიაზე მდებარეობს. ბატონმა ლევან ბაღაშვილმა მათ თანადგომა აღუთქვა და საქონლის დასალევი წყლის წყაროს მოწყობაში კონკრეტული საქმიანობაც ითავა.

იმავე დღეს მოეწყო შეხვედრა აღნიშნული სამოვრით მოსარგებლეთა ჯგუფთან, რათა პირადად, მათგან მოესმინათ, სამოვრით სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული პროექტის პრიორიტეტებში. შემდეგ, ადგილზე მოინახულეს სამოვარი და კონკრეტულად შეირჩა ის ფართობი, სადაც მოხდება საქმიანობების განხორციელება.

22.03.2012

.....

სოფელ არბოშიკში წყალმომარაგება შეუფერხებლად ხორციელდება

სოფელ არბოშიკს წყალი შეფერხებით მიეწოდებოდა. პრობლემის აღმოსაფხვრელად დედოფლისწყაროს

http://qiziyi.iverieli.ge/?p=361 Mar - 22 - 2012

http://netgazeti.ge/GE/97/Life/8833/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98.htm 2012-03-21

http://netgazeti.ge/GE/97/Life/8833/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9
Edit in Contribute Post to Blog
რეგისტრაცია | ავტორი: შესვლა PDA ვერსია
netgazeti.ge
Download

საზოგადოება

SHARE

2012-03-21 | ადგილობრივი საქართველოს რეგიონები კახეთი

სოფლები საძოვრების გარეშე რჩებიან

თეა თოფურია

საქართველოში არსებული საძოვრების დიდი ნაწილი ეკლებითა და ჭაობით არის დაფარული. იმ ნაკვეთებზე, სადაც სოფლის ნახირი დადის, გადაძოვების გამო ეროზია ვითარდება. მოსახლეობა კუთვნილი საძოვრების მოვლასა და მართვას ვერ ახერხებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ექსპერტის, ამირან კოჩლაძის თქმით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ცხვრის რაოდენობა განახევრდა. ქართველ წყემსებს აღარ აქვთ საშუალება, ცხვარი აზერბაიჯანის საძოვრებზე გადაიყვანონ. მოუვლელია თვით საქართველოში არსებული საძოვრებიც, რაც მესაქონლეობის განვითარებაზე უარყოფითად აისახება. საძოვრებზე გაჩნდა ტოქსიკური ბალახი. ხშირად ინამლებიან ცხოველები. იბტოქსიკაციის შემთხვევები, ძირითადად, ადრე გაზაფხულზე და შემოდგომაზე ფიქსირდება.

მთავარი თემები
ბესტერი • ბიძინა ივანიშვილი • ადამიანის უფლებები • მიხეილ სააკაშვილი • Video • ფოტოგრაფების საქმე

სიახლეები რეგიონებიდან

2012-04-06 | ეკოლოგია ადგილობრივი საქართველოს რეგიონები გურია

რა საფრთხე ემუქრება ბახმაროს

ემუქრება თუ არა კურორტ ბახმაროს საფრთხე ბახვისწყლის ხეობაში დაგეგმილი ჰესების კასკადის მშენებლობით?

სრულად
გააკეთე კომენტარი

2012-04-02 | დევნილების უფლებები ადგილობრივი საქართველოს რეგიონები აჭარა სამეგრელო-ზემო სვანეთი

ახალი რაიონი
200.

რისთვის იქმნება ახალი რაიონები

KA 5:34 PM 4/12/2012

გილოცავთ მარტის ლამაზ დღესასწაულებს!

მარჯვის ფაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №5(19) 2012 წ. 1-15 მარტი ფასი 50 თეთრი

მილოცვა

გაზაფხულის შემოხვევასთან, მის თანამდევ მშვენიერ დღესასწაულებს – დედის დღისა და ქალთა დღეს გილოცავთ, ბეირფასი ქალებო! იყავით მუდამ მშვენიერები, ბედნიერები, დიდსულოვნად გეტარებინოთ ქართველი ქალის ის მისია, რომელსაც დედობა, მეუღლეობა, ქართველქალობა ჰქვია. თქვენ და თქვენს მფარველს თავისუფალ, დამოუკიდებელ, მშვიდობიან საქართველოში გაგეგრძელებინოთ ის ქართული ტრადიციები, გეცხოვრთო იმ ცხოვრების წესით, რომლის გამოც მსოფლიოს ქვეყნები შემოგენატრიან, ისევე დიდ ინტერესს და ისწრაფვიან ჩვენთან დამეგობრებისათვის.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი
ზია ჩალათაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ილია ჯიაურელი

ყურადღება: მოქმედებას იწყებს ახალი პროექტი

როგორ მოვუაროთ და ვმართოთ საერთო სარგებლობის საძოვრები

გივი დაბახიშვილი
577 95 14 08

ავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENN) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ამ ბოლო ხანებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა ქვეყნისა და მათ შორის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფარგლებში, რომელთა მიზანი კლიმატის ცვლილებებისადმი მზაობისა და ადაპტაციის თვალსაზრისით ადგილობრივი თემების უნარ-შესაძლებლობებისა და მათი მეურნეობების გაძლიერება გახლდათ. „CENN"-მა საგაზაფხულოდ მორიგი ახალი საპილოტე პროექტი შემოიტანა ჩვენს მუნიციპალიტეტში. „საერთო სარგებლობის საძოვრების მდგრადი მართვა", რომლის განხორციელება, ჩვენის აზრით, მეტად დროული და აუცილებელი გახლავთ, იმ ფონის გათვალისწინებით, რომ ყოფილი სსრკ-ს დაშლის შემდგომ და შეიძლება ცოტა უფრო ადრეც, ჩვენთან ამ კუთხით ფაქტობრივად აღარაფერი გაკეთებულა საძოვრებისათვის. სწორედ ამის შედეგია ამ საძოვრებზე მომრავლებული ჯაგნარი და ეკალ-ბარდი, სასარგებლო, საკვები მცენარეული საფარი შეცვლილია სარეველებით, ადგილი აქვს დატბორვისა და წყლისმიერი ეროზიის შემთხვევებს; ასევე ხშირი ქარების ზონაში მოქცეული ეს საძოვრები გადაძოვილია და განიცდის ქარისმიერი ეროზიის მავნე ზემოქმედებას, რის შედეგადაც დაბალია მოსახლეობის პირუტყვის პროდუქტიულობა და სხვა. სწორედ ამ ფაქტორებთან ბრძოლის ღონისძიების გაძლიერებას ითხოვს მიზნად ეს პროექტი, რომელიც მრავალმხრივ მომგებიანი იქნება ჩვენი მოსახლეობისათვის – ჯერ ერთი,რომ ხალხი დაეუფლება პირუტყვის საძოვრების მოვლა-გამოყენების თანამედროვე მეთოდებს, მეორე – საძოვრების მდგომარეობის გაუმჯობესებით გაუმჯობესდება მათ მფლობელობაში არსებული პირუტყვის პროდუქტიულობა (ამით კი რა თქმა უნდა, გარკვეულწილად პატრონების ეკონომიური მდგომარეობა) და მესამეც – შეფერხდება ქარისმიერი და სხვა ეროზიების მავნე ზემოქმედება, რისი მაგალითებიც ამ ბოლო ხანებში არაერთი გვქონია.

პროექტი რვათვიანია. მისი პრეზენტაცია ამ დღეებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოეწყო,რასაც ერთის მხრივ ამ არასამთავრობო ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი რეზო გეთიაშვილი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IAAD)-ის პრეზიდენტი ამირან კოჩალიძე, ამ ასოციაციის სანაშენე საქმის სპეციალისტი ელიოზ ხაჭაპურიძე და მეორეს მხრივ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გოჩა ჩერქეზიშვილი, გამგებლის მოადგილე სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში ლაშა შიოშვილი და გამგეობის სოფლის მეურნერობის განვითარების სამსახურის უფროსი ალექსი შათირიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი სოფიო ხარებავა-მანძულაშვილი ესწრებოდნენ.

როგორც პროექტის პრეზენტაციისას ბ-ნმა რეზო გეთიაშვილმა აღნიშნა, სადღეისოდ საერთო სარგებლობის საძოვრების მართვის საქმეში მრავალი პრობლემაა დაგროვილი. არ გამოიყენება საძოვრების მართვის არა თუ თანამედროვე, არამედ ტრადიციული აგრონომიული მეთოდები (ნაკვეთმონაცვლეობა, გაწმენდა, განახლება...). არ არის ზუსტად დადგენილი, მონიშნული და დაცული ამ საძოვრების საზღვრები. ზოგიერთ შემთხვევაში სოფელმა ზუსტად არ იცის საერთო სარგებლობის საძოვრების რეალური ფართობი და ადგილმდებარეობა, ხშირია კონფლიქტი კერძო მეურნეობებსა (ფერმერებს) და სოფელს შორის, ზოგ შემთხვევაში კი სოფლებს შორისაც,არ მუშაობს საძოვრების სამართლებრივი ექსპლუატაციის პრინციპი. არის შემთხვევები, როცა საძოვრებს იყენებენ სახნავად ცალკეულ შემთხვევებში კი მათ განკარგავენ ცენტრალური უწყებები საკუთარი პრიორიტეტების შესაბამისად.

ამ საქმეში ბევრი პრობლემაა სამართლებრივი კუთხითაც. არსებული კანონმდებლობით – შესაძლებელია საძოვრების გასხვისება, რაც სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს; საძოვრების დამაგრების იურიდიული ფორმა შეუსაბამისობაშია სარგებლობის მიზნებთან, სოფლის მოსახლეობა მოტივირებული არაა საძოვრების მართვაში მონაწილეობის მისაღებად და ა.შ. ყოველივე ამის გამო მნიშვნელოვნადაა შემცირებული საძოვრების პროდუქტიულობა, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის შემოსავლებზე. ზემოთქმულის გათვალისწინებით პროექტის მიზანია დაეხმაროს მოსახლეობას საერთო სარგებლობის საძოვრების აღდგენა-მოვლის საქმეში.

ასევე განიხილება სხვა კონკრეტული საქმიანობის განხორციელება: ნიადაგის ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზი, სახეობრივი და გეოლოგიური შეფასება, სარეველებისგან გაწმენდისა და შეთესვის შესაძლებლობების დადგენა და განხორციელება, პირუტყვის წყლის დასალევი ადგილების გამართვა (პარაზიტების მოცილების ტექნოლოგიასთან სინთეზით), ვეტერინალური ღონისძიებები, ელექტრომწყემსის გამოყენება, ჯიშობრივი გაუმჯობესება, ნაკვეთმონაცვლეობითი ძოვების დანერგვა და ა.შ. რის შესახებაც პრეზენტაციაზე ყურადღება გაამახვილეს „IAAD"-ის წარმომადგენლებმა ა. კოჩალიძემ და ე. ხაჭაპურიძემ.

პროექტის განსახორციელებლად რაიონში შეირჩევა სამი შესაძლო სოფელი, საიდანაც ადგილობრივ მოსახლეობასთან და მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სამსახურთან ერთად შეარჩევენ ერთს. საპილოტე პროექტისათვის სოფლის შერჩევის კრიტერიუმებში გათვალისწინებული იქნება საძოვრების ცენტრალურ გზასთან და სოფელთან სიახლოვე, მოსახლეობის განწყობა და კონკრეტული პრობლემატიკა.

პროექტის კოორდინატორებმა მარტის დასაწყისში უკვე მოაწყვეს შეხვედრები წყაროსთავის, ნინოწმინდისა და თოხლიაურის მოსახლეობასთან, დაათვალიერეს საძოვრები, გაეცნენ ადგილებზე არსებულ პრობლემებსა და მდგომარეობას. პარალელურად, პროექტის მოქმედების ვადებში, ამ კუთხით მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად ჩატარდება ტრენინგები, სადემონსტრაციო სწავლებები, გამოიცემა ბროშურები, რაც ყველა დაინტერესებული პირისთვის იქნება ხელმისაწვდომი.